ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2156081

ნომერი: AR1336711

თარიღი : 21.08.2015

გაცემის თარიღი : 26.08.2015

გაცნობის თარიღი : 26.08.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება გლდანი , მიკრო/რაიონი 5 , კორპუსი 26 , და 26ა კორპუსების მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ ცოგოშვილი პ/ნ 01021007479
- თბილისი ზღვისუბნის დას. III მ/რ IV კვ. კორ. 53 ბ. 19

ორგანიზაცია:

- შპს საოჯახო კვება კოდი: 404495051

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1336711 21.08.2015 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით #01.11.10.013.062 არსებული შენობის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას და ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი-რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6), სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) (იხ. დანართი). საცხოვრებელი ზონა 6 (სზ–6) მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 29 მარტის #4-13 გადაწყვეტილების დანართი 1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობების არსებობა.

კოეფიციენტები:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი (კ1)-0,5

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი (კ-2)-2.5

მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი (კ-3) 0,1

სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1) წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა: (25.11.2011 N 12-55)

ა) განათების;

ბ) სარწყავი სისტემის;

გ) სარეკლამო ბილბორდის;

დ) დეკორატიული გაფორმების ობიექტის;

ე) კიბეების, გზების, ბილიკების.

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) – წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში – ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს). (25.11.2011 N 12-55)

იმისათვის რომ სამსახურმა განიხილოს საკითხი დამატებით უნდა წარმოადგინოთ სარეკონსტრუქციო შენობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საცხოვრებელი ზონა 6–ის (სზ–6) მოქმედების არეალში ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების მომატების ქალაქგეგმარებითი დასაბუთება, რომელსაც განიხილავს ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭო. ამასთან დახარვეხებულ ველებში უნდა ატვირთოთ:

ტოპოგრაფიული გეგმა მ 1:500; (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, არსებული საინჟინრო-კომუნალური ქსელების, შენობა-ნაგებობის განთავსების, მისასვლელი გზების, ღობეების, გამწვანების ჩვენებით) ხელმოწერილი პასუხისმგებელი პირის მიერ;

თვალსაჩინო ადგილას განთავსებული მინიმუმ A2 გაბარიტების რეალური საინფორმაციო დაფა (ფოტოები გადაღებული საპროექტო ადგილას ახლო და შორი მანძილიდან), რომელზეც უნდა იყოს აღნიშნული მოსალოდნელი მშენებლობის მონაცემები, კერძოდ:

ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;

ბ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;

გ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;

დ) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები;

საინფორმაციო დაფა უნდა არსებობდეს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების მთელ პერიოდში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის მშენებლობის დასრულების ან/და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ.

ხოლო ობიექტის ფუნქციურ დანიშნულებაში უნდა მიუთითოთ რას გულისხმობთ მრავალფუნქციურ ობიექტში.(რადგან მრავალფინქციურ ობიექტში შესაძლებელია იგულისხმებოდეს ფუნქციური ზონით დაშვებული,

ძირითადი ისე სპეციალური (ზონალური) ნებართვით დაშვებული სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.)

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.